გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 აპრილის №833 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №11

ქ. გურჯაანი

2022 წელი 21 იანვარი

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:

გიორგი მინდორაშვილი	- კომისიის თავმჯდომარე, მერის პირველი მოადგილე;
წევრები:	
რამაზი ქიტიაშვილი	- მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
კონსტანტინე ბერიძიშვილი	- ეკონომიკის სამსახურის უფროსი;
ნატო გონგაძე	- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ნანა ჭაბუკაძე	- იურიდიული სამსახურის უფროსი;
სატენდერო კომისის აპარატის შემადგენლობა:	
ნინო ქაჩლიშვილი	- ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.
ბიჭიკო მაისურაძე	- ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის საშუალებით სოფელ დარჩეთში და სოფელ ქოდალოში მინი მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება;

კომისიამ განიხილა:

სატენდერო კომისიამ განიხილა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის #03-9022020295 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი და იმსჯელა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 დეკემბრის #2311 განკარგულების საფუძველზე ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში 200000 (ორასი ათასი) ლარის სამშენებლო სამუშაოს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში შესყიდვის შესახებ. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით ბაზრის კვლევისას გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია, რითაც დასტურდება, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, ხოლო ელექტრონული ტენდერი ცხადდება სახელმწოფო შესყიდვის ფარგლებში მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე. კომისიის წევრებმა განიხილეს და აღნიშნეს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს. კენჭისყრის შედეგად (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) კომისიამ დაადგინა

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით სოფელ დარჩეთში და სოფელ ქოდალოში მინი მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია, სავარაუდო ღირებულებით 170000 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადა განისაზღვროს 60 (სამოცი) კალენდარული დღით, ხოლო სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - 1700 ლარი.
2. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე ელექტრონული ტენდერი ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით - NAT.
3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 დეკემბრის #2311 განკარგულების საფუძველზე სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ 151 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში.
4. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე: გ. მინდორაშვილი

წევრები:

კ. ბერიძიშვილი

რ. ქიტიაშვილი

ნ. გონგაძე

ნ. ჭაბუკაძე

სატენდერო კომისიის აპარატი:

ნ. ქაჩლიშვილი

ბ. მაისურაძე